საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ი. უ. ს. წევრი შ. ქ.

წარმომადგენელი - ადვოკატი დ. მ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.01.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №002/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ნ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 11 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. უ. ს.-ს არამოსამართლე წევრმა შ. ქ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ნ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივარში აღნიშნულია, რომ შ. ქ.-მ მიმდინარე წლის 10 იანვარს მის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა სტატუსი ი. უ. ს.-ს ორი არამოსამართლე წევრის განცხადებების შესახებ. აღნიშნულ სტატუსთან დაკავშირებით ადვოკატმა მ. ნ.-მ იმავე დღეს, მის ოფიციალურ ფეისბუქ

გვერდზე, შ. ქ.-ის მიმართ გააკეთა ცილისმწამებლური, პიროვნულად შეურაცხმყოფელი და არაეთიკური წერილობითი საჯარო კომენტარი, სადაც შ. ქ. მოიხსენია შემდეგი არაეთიკური და შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით: „კუმ ფეხი გამოყო მეც ნახირ ნახირო ზუსტად შ. ქ.-ზეა ნათქვამი... ჩ.-ის წარბის შეხრის მონა...". იგი ასევე წერს, რომ ,,შ. ქ. სასამართლოს კანცელარიაში მუშაობისას დაბეზღებას აიძულებდა თანამშრომლებს და აშანტაჟებდა მათ, ეს დაუფასა მისნაირმა ზ.-მა და ოცნებამ გაამწესა იუსტიციის საბჭოში მორიგი მონა".

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. ნ.-მ აღნიშნული შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური კომენტარები გაავრცელა საჯაროდ და მისი ნახვის შესაძლებლობა ჰქონდათ შ. ქ.-ის კოლეგებს, მოსამართლეებს, სასამართლოს თანამშრომლებს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს და სხვა პირებს, რითაც მ. ნ.-მ შ. ქ.-ს საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მ. ნ.-ის ქმედება არ შეეფერება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრის და ადვოკატის მაღალ სტატუსს. მიუღებელია ი. უ. ს.-ს წევრის მიმართ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრის მხრიდან მსგავსი ცილისწამება და შეურაცხყოფა, რაც ჩრდილს აყენებს ადვოკატთა ასოციაციის ავტორიტეტს.

1.5 საჩივრის ავტორი მოითხოვს, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ გამოყენებული იქნეს მკაცრი დისციპლინური სახდელი და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

2.1 ადვოკატი მ. ნ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

2.2 ი. უ. ს.-ს არამოსამართლე წევრმა შ. ქ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 11 იანვარს.

2.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

3. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. ნ.-მ სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოაქვეყნა შ. ქ.-ის მიმართ ცილისმწამებლური, პიროვნულად შეურაცხმყოფელი და არაეთიკური საჯარო კომენტარი: ,,კუმ ფეხი გამოყო მეც ნახირ ნახირო ზუსტად შ. ქ.-ზეა ნათქვამი ... ჩ.-ის წარბის შეხრის მონა"; ,,შ. ქ. სასამართლოს კანცელარიაში მუშაობისას დაბეზღებას აიძულებდა თანამშრომლებს და აშანტაჟებდა მათ, ეს დაუფასა მისნაირმა ზ.-მ და ოცნებამ გაამწესა იუსტიციის საბჭოში მორიგი მონა".

4.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება

წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.”

4.3 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატისათვის დადგენილი პროფესიული რეგულაციები მოქმედებს ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს. საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა ი. უ. ს.-ს არამოსამართლე წევრის, შ. ქ.-ის პრეტენზიები ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ და დაადგინა, რომ ვინაიდან სადავო მოქმედებების განხორციელებისას, მ. ნ. მოქმედებდა როგორც რიგითი მოქალაქე, რომელიც მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით აფიქსირებდა მოსაზრებას, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ადვოკატის სტატუსი, მასზე არ ვრცელდება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულაციები, რადგან არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ შ. ქ.-ის მიმართ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსისა და კომენტარის შინაარს, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში, მის მიერ განხორციელებული ქმედებები არ უკავშირდება საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას.

4.4 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №002/19 ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/